№ 79 აპრილი 11, ხუთშაბათი 1891 აპრილი 11, ხუთშაბათი № 79

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## მარტვილის სამაგალითო სამრევლო სასწავლებლის დაარსების გამო

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 78)

მარტვილს მგლოვიარების მეტი აღარა დარჩენოდა-რა სწორედ, მაგრამ თითქო ცამ გაუღიმა: იმის წმიდა კალთას კიდევ შეეფარა სასწავლებელი, რომლის კურთხევასაც დაესწრო მრავალი საზოგადოება. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ყ-დ სამღვდელოომ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა. ცხადად დაჰხატა მარტვილის მონასტრის მნიშვნელობა ქრისტიანობისათვის, განმარტა მნიშვნელობა და მომავალი ახლად გამართულის სასწავლებლისა და ბოლოს დარიგების სიტყვებით მიჰმართა მასწავლებელთა და მოსწავლეთა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა ბ—მა, და სკოლის ორმა მასწავლებელმა.

სკოლის სახლი ყ-დ სამღვდელო გრიგოლს ზოგი თვისის საკუთარის, ზოგი სამღვდელოთა შემოწირულის ფულით მარტვილის ტაძრის გვერდით გორის კალთაზე აღუშენებია, როგორც შევიტყვეთ 3000 მანეთზე მეტია დახარჯული. სახლი ქვითკირისაა, გრძელი აივანი და ოთხი თვალი ოთახი აქვს; ყველა ოთახები დიდი, ნათელი და საკლასოდ მოწყობილია. ჯერ ჯერობით სკოლას სამი განყოფილება აქვს.

საზოგადოდ გამოცემულ პროგრამის ძალით სკოლას უნდა ჰქონდეს ექვსის წლის კურსი. ვინც სრულს კურსს შეასრულებსო, ამბობენ მასწავლებლები, სასულიერო სასწავლებლის მე-III კლასში შეეძლებათ შესვლაო. მაგრამ ეგ პროგრამიდამ ცხადად არა სჩანს, ხოლო მასწავლებლების კერძო შრომა რასა იქმს, ამას მომავალი გვიჩვენებს...

სამუდამო შესანახავი საშვალება საერო გადასახადისაგან ეძლევა სკოლას. ეს ის საერო გადასახადია, რომელიც, ოთხი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენს მიწა-მამულებს დაედვა ბეგრად. ამ შემოსავლიდამ ადგილობრივმა გუბერნატორმა სამრევლო სკოლებს მხოლოდ 2400 მანეთი უწილადა და იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ყოვლად სამღვდელოებს გადასცა. ამ გვარად თითო ეპარქიას 1200 მან. (ათას ორასი მანეთი) ერგო.

ყოვლად სამღვდელო გრიგოლმა მარტვილს დააარსა ამ საშვალებით ზემოხსენებული სამაგალითო სამრევლო სკოლა და იმერეთის მღვდელთ-მთავარი სად ინებებს დაარსებას, არ ვიცით, ამბობენ, გელათს აპირებდაო, მაგრამ ეს აზრი შესცვალა და ახლა ამ საშვალებით ორს ადგილას უნდა სასწავლებლის გამართვა, შორაპნის პაზრაში და რაჭაშიო. ასეთი განაწილება სწავლისათვის გადადებულ ფულისა სწორედ სამართლიანია, მაგრამ გელათის უსასწავლებლოდ დატოვება-კი ძნელია.

გაკვრით ვიტყვით, რომ დღეს გელათი მარტო არხეოლოგების საინტერესო ალაგია; მხოლოდ ეგ ძველთა ძველის მკვლევარნი მიეშურებიან ამ წმიდა ალაგს და ათასჯერ გადაატრიალ-გადმოატრიალებენ ტაძრის დიდებულ სამკაულებს. ხალხს-კი თან და თან ავიწყდება მისი პატივის-ცემა. რომ ხალხში ამ წმიდა ადგილის პატივის-ცემა არ შერყეულიყო მიუცილებლად აქ უნდა დაეარსებიათ რაიმე დროის შესაფერი დაწესებულება და ეგ დაწესებულება დღეს სკოლა იქმნებოდა, ხალხის ცხოვრების მოთხოვნილების შესაბამი და ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი.

თუმცა ჩვენი წერილი მეტად გაგრძელდა, მაგრამ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ ამ ახალის სამრევლო სკოლების შესახებ. ხსენებული სკოლები ახალი საქმეა ჩვენში; მათ მეტად ეტანება ხალხი. ამის მიზეზად ვერ ჩავთვლით ვერც იმას, რომ სკოლებს გამოცდილი მასწავლებლები ჰყავდეთ, ვერც იმას, რომ გარეგნობით კეთილად მოწყობილი იყვნენ და ამითი იტყუებდნენ ხალხის თვალს. თავი და თავი მიზეზი ასეთის მიზიდულებისა ერთი ის არის, რომ ხალხი შეჩვეულია სამღვდელოებას და ეკლესიას და მათს სახელობაზე აგებულს სკოლას უფრო პატივსა სცემს; მეორე ისა, რომ უფრო ეახლოვება და ხელის „მისაწიერზე“ უარსდება; მესამეც კიდევ ის, რომ ბავშვები ქართულს ანა-ბანას მალე სწავლობენ, ქართულად კითხულობენ საყოველდღეო ლოცვებს, მცნებას და მრწამსს. და ეს ბევრს ჰნიშნავს მდაბიო ხალხისათვის. ერთხელ რომ ბავშვმა გლეხს სუფრაზე „მამაო ჩვენო“ წაუკითხოს, ათას ქესას ურჩევნია; სიძეს და ქალიშვილს რომ წერილი მისწეროს, ან „სალდათად“ გაყვანილის შვილის მოწერილი ბარათი წაუკითხოს, ჯერ-ჯერობით ამითაც კმაყოფილია სოფლის გლეხი და, მგონი ის აზნაურიც, რომელსაც იმდენი საშვალება არა აქვს, რომ თვისი შვილი მაღალს, ან საშვალო სასწავლებელში გამოზარდოს.

აი, ასეთი მარჯვე და მოხერხებული დრო აქვს დღეს სამრევლო სკოლებს და მაშ ახლა უნდა თავიანი კაცი, გამგე ამ სკოლებისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში სამრევლო სკოლამ შესაფერი ადგილი დაიჭიროს. ვის ხელითაც სამრევლო სკოლების ბედიღბალია, მათ დიდი ვალი აძევთ კისერზე, დიდის პასუხის მგებელნი არიან ჩვენის ერის წინაშე. მართალია, საზოგადო პროგრამა გამოცემულია, მაგრამ სასულიერო სასწავლებლის გამგეობათა, რომელნიც სკოლებს განაგებენ, ბევრი რამ შეუძლიათ გადაასხვაფერონ, შესცვალონ, იმის მიხედვით, თუ რა არის საჭირო და სასარგებლო იმ ხალხისათვის, სადაც სკოლა არსებობს. დიდის ხნის დაწყებული საქმე რომ იყოს და სკოლების მიმართულება და ხასიათი მტკიცე კალაპოტში იყოს ჩამჯდარი, მაშინ ძნელი იქნებოდა რაიმე ცვლილების მოხდენა, მაგრამ დღეს იგი ნორჩია, და, თუ მახლობელი განმგებლები მედგრად შეუდგებიან სკოლის სასურველად განშვენებას, უნდა დარწმუნებული ვიყვნეთ, სამრევლო სკოლები ასცილდება იმ შეცდომას და ნაკლს, რომელთ გამოც ზოგიერთის სკოლის არსებობა ძალ-დატანებითია და არა ნება-ყოფლობითი. დიაღ, ზოგიერთი არა-სამრევლო სკოლა მარჯვე ადგილობრივ ადმინისტრაციის მადლობელი უნდა იყოს, რომ საფანელი არ შემოჰლევია ჯერ...

დღეს მთელს საქართველოში ექვსი სასულიერო სასწავლებელია და ექვსივეში მასწავლებელთა უმეტესობა ქართველობაა; ტფილისის სასულიერო სემინარიაა და ქართველ ახალგაზრდობით არის სავსე; მღვდელთ-მთავარნი და არხიმანდრიტნი ქართველები არიან. აი, ამათ ხელში არის დღეს და იქმნება დიდხანს სამრევლო სკოლათა ბედ-იღბალი და, რადგანაც ამათ კარგად იციან ჩვენის ერის საჭიროება, როგორ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სკოლები, რაც უნდა უცხო ხელით გამოჭრილს ყაიდაზე იყვნენ აგებულნი, მაინც კეთილს ნაყოფს გამოიღებენ.

დიაღ, იმედი უნდა ვიქონიოთ, მაგრამ აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საქმის კარგად წაყვანის თავ-მდებად ვერ გახდება ქართველ მასწავლებელთა და განმგებელთა სიმრავლე, არამედ ერთი რამ... და ეს ერთი რამ ისაა, რომელიც მხოლოდ ქართველს მოეთხოვება მისის განკერძოებულის მდგომარეობის გამო: ქართველმა საზოგადოებისათვის მოღვაწემა და მოსამსახურემ, — მღვდელია იგი, თუ მასწავლებელი, რედაქტორი, თუ წიგნების მთხზველი და გამომცემელი, პუბლიცისტი, თუ ექიმი, — შრომის მოყვარეობა, ენერგია და გამჭრიახობა უნდა გააორკეცოს, ერთი ორად მეტი უნდა გამოიჩინოს. მხოლოდ ასეთებს შეუძლიანთ სარგებლობის მოტანა. თუ ეს ნიჭი და უნარი გამოიჩინეს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა და განმგებელთა, მაშინ ეგ სასწავლებლები დიდად მარგებელნი იქმნებიან ჩვენის მიძინებულის ერისათვის.

ს. ყიფიანი

## ახალი ამბავი

*** ქალაქის სკოლების გამგე კომიტეტს გუშინ, 9 აპრილს, კრება ჰქონდა და სხვათა შორის გადასწყვიტა ქალაქის სკოლებისათვის საკუთარის მკურნალის ყოლა. ასეთს მკურნალად კომიტეტმა აირჩია ბ-ნი თარხნოვი.

*** აელაბარში ხუნაგი მძვინვარებს თურმე. ამ დღეებში ერთს ოჯახ-

## ფელეტონი

### მოკლე მიმოხილვა ჩვენი სადმრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 78)

V

„დაბადების“ პირველად დაბეჭდვით დაკმაყოფილდა მომლოდნეთა სურვილი. ეს ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომ ამისაგან გამოწვეული კმაყოფილება ხანგრძლივი იქმნებოდა, უკეთუ გონებრივი და ზნე-სარწმუნოებრივი მდგომარეობა საზოგადოებისა არ იმატებდა, არ აღორძინდებოდა და ესრეთი აღორძინება არ გამოიწვევდა შესაფერს წარმატებას „დაბადების“ ბეჭდვაში. თუ ამ გვარად უზრუნველ ყოფილი შეიქმნა ჩვენი საზოგადოება „დაბადების“ დაბეჭდვით, სამაგიეროდ ამისა დიდს ზრუნვასა და შრომას მოითხოვდა წარმატება საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნებისა. ამას აშკარად ჰგრძნობდენ ჩვენი ეკკლესიის წარმომადგენელნი და მის წარმატებისთვის გულ-შემატკივარნი. ამისთვის შეუდგნენ კიდეც ამ საქმეს ჟამთა ვითარების მიხედულობით. ამ საქმეში შესანიშნავია საქართველოს გარეშე შემდეგი ადგილები: ვლადიმირი, მოსკოვი, პეტერბურგი და კრემენჩუგი. 1756 წელს საქართველოს კათოლიკოსს ანტონ იესეს ძეს ბაგრატიონს შესწამეს ლათინთა ეკკლესიის თანაგრძნობა, და ამისთვის სამღვდელოთა კრებამ დაამხო ანტონი საყდრისაგან თვისისა და განაძევა სამშობლოდამ. უადგილოდ დარჩომილმა კათოლიკოსმა დაუტევა თავის სამშობლო ქვეყანა, გაემგზავრა რუსეთს და აქ მიიღო ეპარქია ვლადიმირისა მთავარ-ეპისკოპოსობის სახელწოდებით. ანტონი განაგებდა ამ ეპარქიის საქმეებს 1756—1762 წლამდე. ჩვენის საგნისთვის ეს დრო ანტონის ცხოვრებისა ქ. ვლადიმირში ფრიად შესანიშნია, რადგან დაუცხრომლად შრომობდა ქართულ საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნთა შესწორებისა და დაბეჭდვისათვის. ამ განზრახვით მან გაჰმართა ადგილობრივ სტამბა და დაჰბეჭდა, როგორც ხუცურად საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნები, ეგრეთვე მხედრულად სღვთისმეტყველო და საერო წიგნები, სახელმძღვანელოები, ანბანები: ქართული, ლათინური და ბერძნული და სხვ.

კათოლიკოს ანტონ დიდის შემდეგ, ანუ უკედ მაშინ, როდესაც მან თითქმის გაათავა თავის მყოფობის დრო რუსეთში, სახელდობრ 1761 წელს, მოსკოვში გაჰმართა ქართული სტამბა ტფილელმა მიტროპოლიტმა ათანასე ამილახვარმა და თავის სიკვდილამდე (9 ივნისს 1774 წ.) დაჰბეჭდა მრავალი წიგნი.

ქართულ წიგნების ბეჭდვის საქმეში მიიღო მონაწილეობა რუსეთის სატახტო ქალაქმა პეტერბურგმაც, სადაც 1786 წ. დააარსა ქართული სტამბა ქართველმა ეპისკოპოსმა გრიგოლ ხარჭაშნელმა. ეს ეპისკოპოსი გაგზავნილი იყო დასაბრუნებლად იმ საეკკლესიო ნივთებისა, რომელიც გატანილი იყო საქართველოდამ, როგორც თვით ვახტანგ მე-VI-სა, ეგრეთვე სხვა სამღვდელოთა მიერ. მაგრამ ესეც, მსგავსად სხვათა მრავალთა, არ დაბრუნებულა საქართველოში.

ჩამოთვლილთ გარდა, რუსეთში ჰქონდა კიდევ გამართული ქართული სტამბა ქართველსავე მთავარ-ეპისკოპოსს გაიოზს. მისი სტამბა, სხვათა შორის, იყო კრემენჩუგსაც 1789 წელს, რომელშიაც იბეჭდებოდა, როგორც საეკკლესიო, ეგრეთვე საერო წიგნები.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილნი თავიანთ სტამბებით სცდილობდნენ ვისთვის და რისთვის? რაღა თქმა უნდა, საქართველოსთვის და მწიგნობრობის აღორძინებისთვის ჩვენს სამშობლოში. ამ გვარი იყო შრომა იმ ქართველთა, რომელნიც სცხოვრობდნენ რუსეთში, მაგრამ თვით საქართველოშიაც იყვნენ ამისთანა მოღვაწენი. მოთავედ ამ საქმისა იყო თვით კათოლიკოსი ანტონი დიდი, როდესაც რუსეთიდამ, სახელდობრ ვლადიმირის ეპარქიიდამ, მოწვეულ იქმნა 1762 წელს წინანდელსავე საქართველოს კათოლიკოსის კათედრაზედ. ახლა ამან ორკეცის ხალისით იწყო შრომა და კიდეც დააარსა ტფილისში სტამბა,

ში ამ სენს ორი ყმაწვილი უმსხვერპლია და მესამეც მძიმედ ავადმყოფია. მოუწვევიათ მკურნალი გერმიშევი, რომელსაც უთქვამს, რომ ყმაწვილი ხუნაგითაა ავადო.

*** ჩვენ მოგვივიდა კოხტად და სუფთად დაბეჭდილი ახალი ქართული წიგნი. სახელად ეწოდება „ნაქეთები“. გამოუციათ ქუთაისში ძმათა ჭილაძეებს. ეს წიგნი კრებულია პატარ-პატარა მოთხრობა-ამბებისა, რომელიც ჩვენს ცხოვრებას შეეხება და რომელიც დაუწერია ბ-ნს დიმიტრი ერისთავს. ამ მოთხრობა-ამბებში ზოგიერთი, როგორც მაგალითად, „უბრალო ამბავი“, „უბედური ქმარი“, „მსხვერპლი სიყვარულისა“ ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენს გაზეთში იყო ფელეტონებად დაბეჭდილი. მოთხრობა-ამბები რიცხვით სულ ათია. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, შეიცავს 244 გვერდს და ჰღირს ათი შაური.

*** **ყვირილა** (შორაპნის მაზრა): შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, უგანათლებულესმა თავადმა ბაგრატიონმა, რომელმაც მისწერა თავად-აზნაურობის სახელით სამძიმრის დეპეშა მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის-ძეს, მიიღო პასუხად შემდეგი:

„გულით გმადლობთ თქვენცა და შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობასაც სამძიმრის გამოცხადებისათვის. მრწამს, თქვენი გრძნობა მონაწილეობისა გულ-წრფელია.

მიხეილი“

აქვე მოგვყავს წინამძღოლის მიერ გაგზავნილი დეპეშა:

„დიდად შეწუხებულნი ყველა ჩვენთვის სამძიმო ამბით, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურნი უცხადებენ თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას თავიანთ გულ-წრფელს მწუხარებას საერთოდ ყველა ჩვენის კეთილისმყოფელის დაკარგვის გამო“.

*** **კაკაგი**: სოფ. ხუმელაგის მინდორში ამ ერთის კვირის წინად შემდეგი საცოდაობა დატრიალდა: ფარეხში ეყენა ცხვარი და საქონელი ხუმელაგის მცხოვრებელს დოდიკა ქაბაშიევს. ფარეხში ყარაულად იყო ერთი 13—14 წლის ყმაწვილი, რომელსაც საღამოზედ ცეცხლი დაენთო და მერე ისე დასძინებოდა, რომ ცეცხლი აღარ გაენელებინა. ცეცხლი ჩალას მოსდებოდა. ჩალიდამ ფარეხს და ის იმდენი საქონელი: ასი სული ცხვარი თავის ბატკნებით, 27 სული ხარი და ძროხა, 7 ცხენი სულ ცეცხლის მსხვერპლად გამხდარიყო. საცოდავი პატრონი დარდით გაშრა და მწუხარებისაგან ხმას ველარ იღებდა.

*** **ხაშური**: ამ დღეებში აქ კაცი დასჭრეს. აი საქმე როგორ იყო: ოთხშაბათს, 3 აპრილს, საღამოს 6 საათი ჯერ კიდევ არ იქნებოდა, ჩვენის სადგურის იმ ოთახიდამ, სადაც მგზავრი ისვენებს, ხმაურობა მოისმა. ამ ხმაზედ ბუფეტის მოსამსახურე შევიდა ოთახში და ჰნახა შემდეგი: ვინმე აბ. ხ—ვი ს. ა—ძეს სცემდა. მოსამსახურემ გააშველა მოჩხუბარნი და ხ—ვი გარედ გაიყვანა უკანა კარებში. იქ დამსწრეთ რომ გამოიკითხეს მიზეზი ამ ჩხუბისა, ა—ძე ამბობდა: „ოთახში შევდიოდი, მომვარდა კარებში და მაღრჩობდაო“. ხ—ვი-კი თავისას ამბობდა: „დივანზედ ვიწექ ოთახში, ა—ძე მომვარდა და კისერში ხელი წამიჭირაო.“,

ეს ლაპარაკი ბუფეტში იყო და ყველას ისე ეგონა რომ ამით გათავდებოდა საქმე, მაგრამ არა: ორი-სამი წუთი არ გასულა ეს ორი გოლიათი სისხლის საღვრელად გამოვიდნენ სადგურის უკანა მოედანზედ: ა—ძემ იშიშვლა ხანჯალი და ხ—ემა—ხმალი, და დაიწყო იარაღის ტრიალი. ამ იარაღის ტრიალში ხ—ემა დასჭრა ა—ძე თავში და, მგონია, კისერში. მხოლოდ მაშინ გათავდა იარაღის ტრიალი, როცა ხ—ემა ა—ძეს ხანჯალი ხელიდამ გააგდებინა და ა—ძე უიარაღოდ დარჩა.

ცუდი ის იყო კიდევ, რომ დამსწრეთ შორის ერთი მეტად აქეზებდა ხალხს, „არიქა“-თ დაიჭირეთ, არ გაუშვათ ცოცხალი, როგორ გაჰბედა ა—ძის დაჩეხაო“. ასეთმა წაქეზებამ თავისი ქმნა: ხალხმა სეტყვასავით დაუშინა ქვა. ხ—ემა შეატყო საქმე ცუდათ არისო და გაჩერდა, ფეხიც არ დაუძრავს. ამ დროს ჟანდარმიც მოვიდა, რომელსაც გადასცა თავისი იარაღი—ხმალ-ხანჯალი და რევოლვერი. დაჭრილი ა—ძე სასტუმროში წაიყვანეს, სადაც მკურნალმა ჭრილობა შეუხვია და ხ—ვი-კი დააპატიმრეს.

ერთიც უნდა დავსძინოთ ამ ამბავს: როცა ჟანდარმი ოქმსა სწერდა და თან იქვე სტოლზედ ხ—ვის იარაღებიც ეწყო, ამ დროს ოთახში (ეს იყო ტელეგრაფის ოთახში) შევა ერთი რუსი და იკითხავს, ტფილისისაკენ მატარებელი როდის მიდისო და გარედ გამოვა. მიიხედ-მოიხედეს და ხ—ვის ხანჯალი აღარ იყო სტოლზედ. აღმოჩნდა, რომ იმ რუსს მოეპარა და, რასაკვირველია, ხანჯლის ქურდსაც ოქმი შეუდგინეს და ერთად ხ—ვთან დაამწყვდიეს. საქმე გამომძიებელს გადასცეს.

*** **სიღნაღი**: 7 აპრილს ჩვენს ეკკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულის დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის მოსახსენებლად იმ ქალთა და რძალთა, რომელთაც დედათა გიმნაზიებში და საბებიო ინსტიტუტში უსწავლიათ. მლოცავი მრავალი დაესწრო. მერე პანაშვიდი გადაიხადეს აქაურ სამოქალაქო სასწავლებელში.

*** **იქიდამვე**: 5 აპრილს სეტყვამ ვენახები საშინლად დააზიანა. რაც კვირტი გამოტანილი ჰქონდა ვაზს, ზედ აღარაფერი შეარჩინა. ნამეტნავად ძრიელ დაისეტყვა ქიზიყის სოფლები: ხირსა, ჯუგაანი, ბოდბისხევი.

მოსავლის პირი კარგი დგას და სარჩოც ჯერ-ჯერობით იაფია: კარგი თავი ფქვილი მანეთ ზევით აღარ ისყიდება. ხალხი კალიის გასაწყვეტად არის გასული და თავის საქმისათვის არა სცალიან. ჯერ საგაზაფხულოდ არა დაუთესიათ-რა. ბევრი უხნავიც დარჩა.

*** 10 აპრილს „ალუჩი ბალკაში“ უეცრად გარდაიცვალა გრიგოლ ბელოუსოვი.

*** ამ თვის 9, საღამოს 6 საათზე, მტკვარში გადავარდა ვიღაც კაცი. დოლუხანოვის დარჩიბისაგან გადამრჩენ სადგურიდგან მანქანა გადაუგდეს, მაგრამ იმან ხელით მოიშორა, წყალში ჩაიყურყუმელავა და დასძირა კიდეც.

*** ამავე დღეს ორბელიანის ქუჩაზე მღვდელს ელიშე ტერ-გრიგორიანცს მზარეულმა ქვემო-სარის მცხოვრებელმა მიხეილ ოღლაძემ კამოდიდგან მოჰპარა 400 მან. ფულად და 1000 მან. ბრილიანტ-ოქროეულობა. დამნაშავეს თან წაუღია თავისი პასპორტიც. ოღლაძეს პოლიცია დაეძებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. ძველებური ქურდობა და ავ ხელობა ჩვენს მაზრაში საკმაოდ შემცირდა; ამ ხელობის მიმდევარნი დარწმუნდნენ რომ ძველებურად ვეღარ ინავარდებენ სხვის კუთვნილ სარჩო-საბადებელზე, რომ ამ გვარის ხელობით თავის კვებისა, კუჭისა და ჯიბის გასუქების დრო წავიდა და ამის გამო დიდის გულის ტკივილითა და ცრემლის ფრქვევით გამოესალმენ თავიანთ დიდის ხნით შესისხლ-ხორცებულს სხვისის საკუთრების დაპატრონებას.

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ეკლის ძირზედ, რაც უნდა გადაჰკაფო, ვარდი და ია არ ამოვა, ისევ ეკალი ამოჰყოფს თავსა. ჩვენს მაზრასაც სწორედ ასე მოსდის, ძველებურმა ქურდობამ და ტაციობამ ოთხ-ფეხ საქონლისამ ძლიერ იკლო, ასე რომ ამ მხრით ჩვენმა საზოგადოებამ საკმაოდ მოისვენა, მაგრამ ეხლა სხვა გვარმა, უფრო ოსტატურმა და მოხერხებულმა ქურდობამ იჩინა თავი; ეს ახალმოდური ათას გვარის ხრიკითა და ოინით სავსე ძარცვა-ტაციობა მიმართულია არა მოძრავ ქონების შესაძენად, არამედ უძრავ ადგილ-მამულის მოსაპოვებლად. ჩვენ მაზრაში არა ერთმა და ორმა ისეთმა კაცმა იჩინა თავი, რომლებიც ათას გვარის ხრიკითა და გაიძვერულის მოქმედებით სცდილობენ სხვისი კუთვნილი ადგილ-მამული ჩაიგდონ ხელში და სხვის ყოფა-ცხოვრებას დაეპატრონონ. ესენი სცდილობენ როგორმე სხვის ადგილ-მამულში მოტყუებითა და შეპარვით ჩაიდგან ფეხი. თუ როგორმე შეიდგეს ფეხი, მერმე ადგებიან ძალ-მომრეობას და ნამდვილ-მეპატრონეს აღარ აძლევენ ნებას თავის მამულში შესვლისას და სარგებლობისას. ან არა-და, დაიწყებენ სასამართლოში საქმეს თავიანთ საკბილო მამულის თაობაზედ, მოწმეებად თავიანთ ჯურისა და ზნეობის ვაჟბატონებს ჰნიშნავენ და ამ გვარის მანქანებით ინარჩუნებენ სხვის კუთვნილს ადგილ-მამულს.

ასეთის ოსტატობით ადგილ-მამულის წართმევ-წამორთმევა ისე გახშირდა ჩვენში, რომ ჩვენის ადგილობრივ სასამართლოს არხივი რომ კაცმა გასინჯოს, ავსებით სავსეა ამ ნაირ დავა-სარჩელებით. ვინ მოსთვლის, რამდენი შრომა, ხარჯი და დავიდარაბა სჭირდება ჭეშმარიტს მეპატრონეს დავაში ჩავარდნილის მამულისას, რომ თავისი მამული არ გაატანოს გაიძვერა და ცრუ-მოდავეს. ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ ნამდვილი მეპატრონე მამულისა ვერ მისდევს საქმეს და ვერ აწარმოებს ისე, როგორც საჭიროა ეხლანდელ კანონებით, თუ კანონის უცოდინარობისა და თუ ხელ-მოკლეობის გამო. ყოველ გვარს სიდუხჭირეს და სენს თავისი მიზეზი აქვს, და ჩვენის მაზრის მემამულეთა ამ გვარ გაჭირვებულ და მოუსვენარ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზიც ის გარემოება გახლავთ, რომ ჩვენი მაზრა გამიჯნული არ არის, მაშასადამე არც ერთს დიდისა თუ მცირე ადგილ-მამულის პატრონს არა აქვს თავის კუთვნილი მამული შემოყორლილი, ცნობაში მოყვანილი და გეგმა აღებული, რომ მოდავისა და შემცილეს აღმოჩენის შიში არა ჰქონდეს. ამ გარემოებით სარგებლობენ ზემოხსენებულის ხელობის მიმდევნი: ეჭიდებიან სხვის კუთვნილ მამულებს და ცდილობენ რომელისამე ხრიკის წყალობით დაინარჩუნონ თავისათვის.

ამას გარდა, სხვა მხრივაც ბევრგვარ ზარალს აძლევს ჩვენს თავად-აზნაურობას ადგილ-მამულის გაუმიჯნველობა. მოგეხსენებათ, რომ თავად-აზნაურთა ნივთიერმა შეძლებამ ამ ბოლოს დროს ძლიერ უკან დაიწია, შემოსავალი ხარჯსა და გასავალს ვერ ასდის. ამის გამო ბევრი მათგანი იძულებულია აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ვალი აიღოს. მაგრამ აქ კიდევ ძნელი ის არის, სად უნდა ისესხოს ფული? იქითკენ. სადაც ფული იაფის სარგებლით იშოვება, უმეტეს ამათგანს გზა არა აქვს გახსნილი: ჩვენის ბანკებისა და აგრეთვე ახლად დაარსებულის სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილების კარი ჯერ ამათთვის ღია არ არის, რადგანაც არცერთი ბანკი, თუ დასაგირავებელი ადგილ-მამული უდავო არ არის და პატრონს კუთვნილების კანონიერი საბუთები ხელში არ უპყრავს, ფულს არ ანდობს და სესხს არ მისცემს. მეტი ღონე რაღა დარჩენია სესხის მსურველს, ისევ აქვე ადგილობრივ რომელსამე კერძო ფულიანს კაცს უნდა მიჰმართოს, ხოლო ამ ფულიან კაცების ხელში ჩავარდნა, ფულის აღება ხომ დაღუპვისა და გალატაკების თანაბარია. ესენი თუმანს თთვეში ათ შაურ ნაკლებ სარგებლით არ ასესხებენ. ბევრია იმის მაგალითიც, რომ მანეთი გადაუხდევინებიათ თთვეში თუმანზე მსესხებლისათვის. მაგრამ კარგი, თუგინდ ათი შაური ვიანგარიშოთ. ვსთქვათ, დაგჭირდათ ასი თუმანი სესხი ერთის წლის ვადით, სარგებელი უნდა გადაიხადოთ ექვსასი მანეთი! ეხლა თუ ვადაზედ არ დაუბრუნეთ, ჯარიმა კიდევ სხვა არის. ასეთის პირობით სესხის აღე-

---

სადაც იბეჭდებოდა მრავალ-გვარი წიგნი, საჭირო თანამემამულეთათვის. ეს სტამბა არ გაუქმებულა ანტონ მეორის დროსაც, რომელმაც დაიჭირა საკათოლიკოსო კათედრა თავის თანამოსახელეს სიკვდილის შემდეგ 1788 წელს. ესეც სცდილობდა, რაც ძალი და ღონე შესწევდა, სტამბის საქმე შესაფერს წარმატებაში ყოფილიყო და მის ხელში სისუსტე არ დასტყობოდა.

ერთის სიტყვით, აღნიშნულ გვამთა თაოსნობით და თავგანწირულის შრომით შესწორებულ და დაბეჭდილ იქმნა მრავალ-გვარი წიგნი, როგორც რუსეთში, ეგრეთვე საქართველოში. დავუმატოთ ამას ის გარემოებაც, რომ ბეჭდვას გარდა ხელთ-ნაწერი წიგნებიც ბლომად მრავლდებოდა საქართველოში, რადგან კარგი გადამწერნი მრავალნი იყვნენ მაშინდელ დროს. მარტო დავით რექტორის ხელით გადაწერილს წიგნებს განცვიფრებაში მოჰყავს ჩვენი დროს კაცი, რადგან, რაოდენობას გარდა, თვით ნაწერი არის ისეთის მშვენიერის ხელით და ისეთის სისუფთავით, რომელიც ჩვენის დროს კაცისთვის ძნელად წარმოსადგენია. მაშასადამე მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უწიგნობა ისე დიდად საგრძნობელი არ იყო, რადგან მრავლად იყო მოფენილი წიგნები მთელს საქართველოში, როგორც დაბეჭდილნი, ეგრეთვე ხელ-ნაწერნი.

### VI

დადგა მეცხრამეტე საუკუნე და დაიწყო ახალი ხანა ჩვენის ყოფა-ცხოვრებისა. ამ ახალს ხანას, როგორც იმედი ჰქონდა ზოგიერთს, უნდა მოჰყოლოდა შევსება, გავრცელება და ზრდა მეთვრამეტე საუკუნის მიერ ნაანდერძევის სამღრთო და საეკლესიო ღვთის-მსახურების წიგნების ბეჭდვა-გავრცელებისა. ამისთვის, როგორცა ვსთქვით, ნიადაგი უკვე მომზადებული იყო, მოღვაწენიც გამოჩნდებოდნენ, უკეთუ ამ საქმეს ეყოლებოდა გულ-შემატკივარი და პირ-უთვნელი მფარველი და ხელის-შემწყობი. სამაგიეროდ ამისა რას ვხედავთ ჩვენში? უწინდელ კათოლიკოსობის მაგიერ შემოღებულ იქმნა ჩვენში 1811 წელს ექსარხოსობა, ხოლო განსაგებლად ყველა საქმეთა საქართველოს ეკკლესიის შესახებ დაწესებულ იქმნა ტფილისში 1814 წელს „საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორა.“ ერთის სიტყვით, დაიწყო ახალი ხანა საქართველოს ეკკლესიის ცხოვრებისა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველს მეხუთედში, ტფილისს გარდა, ქართული სტამბები იყო კიდევ დაფუძნებული სამს ადგილას: ქუთაისსა, საჩხერესა და წესში, სადაც იბეჭდებოდა ხუცურად საეკკლესიო წიგნები. ეს სტამბები იყო დაარსებული იმერეთში, უფრო ტფილისში დაარსებულ სტამბის მიბაძვით, ვიდრე გარეშე გავლენის გამო. მაინც გაიარა ნახევარმა საუკუნემ და ჩვენის სამღვდელოების ხელში ჰხედავთ მომეტებულად ისევ იმავე სამღრთო და საეკკლესიო წიგნებს, რომელიც დაუბეჭდიათ მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგისა და კათოლიკოს ანტონ დიდის დასთა და მათ მოადგილეთა. მართალია, როგორც ვსთქვით, აქა-იქ იყო მეცხრამეტე საუკუნეში დაბეჭდილი წიგნიც, მაგრამ, ჟამთა ვითარების გამო, ახლა ამისთანა წიგნები ისე ძვირად ჰღირდა, რომ მათი შესყიდვა ადვილი არ იყო ჩვენის ერისა და სამღვდელოებისათვის.

მოვიყვანთ სარწმუნო წყაროდამ დღევანდელ ფასებს მოსკოვში დაბეჭდილ წიგნებისას.

| | მან. კაპ. |
|---|---|
| 1. ახალი აღთქმა 1816 წ. | 2—10 |
| 2. დიდი კურთხევანი 1826 წ. | 8—45 |
| 3. პარაკლიტონი 1861 წ. | 4—45 |
| 4. მარხვანი 1863 წ. . . | 6—35 |
| 5. სადღესასწაულო 1873 წ. | 7—40 |

ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამაც დაინახა საქმის ამ გვარი ვითარება და განიზრახა წიგნების ბეჭდვის აღდგენა და წარმატება. ესრეთი სურვილი დაეტყო სასულიერო უწყებას ექსარხოსის ისიდორესა (1844—1858) და ევსევის (1858—1877) დროს. რადგან საქართველოში, როგორც ვსთქვით, სამღრთო და საეკკლესიო წიგნები მეტად გაძვირდა და ამის გამო მათი რიცხვი, როგორც ეკკლესიებში, ეგრეთვე კერძო კაცთა

ბამ ბევრი ოჯახი დასცა და გაანადგურა ჩვენს მაზრაში. ზემოდ დასახელებული მდგომარეობა ჩვენის მაზრის მემამულეებისა ხმა-მაღლად ჰღაღადებს რომ ამ სატკივარს წამალი რამ უნდა დაედოს. ჩვენის აზრით, ერთ საუკეთესო წამალთაგანი ის არის, რომ ამ მაზრასაც მალე ეღირსოს გამიჯვნა და ადგილ-მამულის შემოფარგვლა. დარწმუნებული ვართ, ეს წამალი ბევრს ზარალს ააცილებს თავიდგან ჩვენს მემამულეებს.

ქაიხოსრო გელოვანი

## ბარათაშვილის ლექსების რვეული

ვისაც-კი ბარათაშვილის ლექსები და იმისი ცხოვრება წაუკითხავს, ეცოდინება, რომ ბარათაშვილს იმ ლექსებს გარდა, რომელიც დღეს ცალკე წიგნად არის გამოცემული, სხვებიც დაუწერია. გარდა ამ ლექსებისა მასვე უთარგმნია რუსულიდგამ ლეზევიცის ტრაგედია „იული ტერენტელი“. ამ ტრაგედიის შესახებ თვით ბარათაშვილი სწერს ერთს თავისს წერილში, რომ დ. ყიფიანმა „რომეო და ჯულიეტა“ სთარგმნა და მე—ლეზევიცის ტრაგედიაო. ამ ტრაგედიას გარდა ბარათაშვილს ერთი ისტორიული წერილიც ჰქონია დაწერილი; ეს წერილი პ. იოსელიანისთვის გარდაუცია და იოსელიანმა რა ჰქმნა, დაბეჭდა, თუ არ დაბეჭდა, ამისი არა ვიცით-რა. ამ გარემოებათა გამო, ვიდრე ბარათაშვილის ლექსებს დავბეჭდავდი, გაზეთით საზოგადოებას ვსთხოვე, რომ თუ ვისმეს რამე ნაწერი აქვს ბარათაშვილისა, დროებით გვათხოვოს-მეთქი. გაიდა კარგა ხანი, პასუხი არავისაგან მომივიდა და ბოლოს ბარათაშვილის ლექსები გამოვეცი.

ამ მოკლე დროში, მე მომიტანა ერთი პატარა რვეული ბარათაშვილის ლექსთა კრებულისა ბ-ნმა არეშიძემ. რვეული არის თაბახს ქაღალდის მეოთხედ ზომის ფურცელზედ ნაწერი; დაწერილია 1841 წ. საკუთრად ბარათაშვილის ხელით. უნდა ვსთქვათ, რომ ბარათაშვილს მეტის-მეტი კარგი ხელი ჰქონია. ეს რვეული ბარათაშვილს თავის დისთვის შეუდგენია; პირველს გვერდზედ აწერია: —„1841 წელი, ტფილისი“, მეორე გვერდზე: „დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემულად.—ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა უმაწვილობისათა, და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა. თ. ნ. ბარათაშვილი“. პირველ ლექსად მოქცეულია „ბულბული ვარდზედ“. ეს ლექსი დაბეჭდილს ლექსთან მცირედ განსხვავდება; მაგალითად აქ არის:

ბულბული ვარდზედ შუჯდა და იტყოდა
მსტვინავი:

დაბეჭდილია მეოთხე გამოცემაში:

ბულბული, ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა
მას მსტვინავი:

ამავე ლექსის მეოთხე ტაეპის მეორე სტრიქონიც განსხვავდება დაბეჭდილთან; მაგალითად აქ არის:

ფრთა-ფრთასა ჰკრა და ამაღლდა მსტვინავი ღმობის ხმითა,

დაბეჭდილია:

ფრთა-ფრთასა ჰკრა და აღმაღლდა მსტვინავი ლმობის ხმითა.

ამ ლექსს, ბოლოზე 18 ივნისი უზის 1833 წ. დაბეჭდილს-კი 1834 წელი.

ლექსს „მტკვრის პირას“ აწერია „ფიქრნი მტკვრის პირას“, დაბეჭდილია „ფიქრი მტკვრის პირზედ“. პირველი ტაეპი ასე განსხვდება დაბეჭდილისაგან:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ
გასართველად;
მუნ ვემიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
მუნ ლბილს მდელოზედ სანუგეშოთ ვინამე ცრემლი:
მუნცა ყოველი არე-მარე იყო მოწყენით:
ღურჯად მოღელავს და დუდუნებს მტკვარი ანკარა,
ფერ-მკრთლათ მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა.

დაბეჭდილში ასეა:

წარვედ წყლის პირას სევდიანი ფიქრთ
გასართველად;
იქ ვემიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
იქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
იქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა,
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი
ცისა კამარა.

შემდეგ სტრიქონებში ასეთი განსხვავება აღმოჩნდა. მაგალითად არის:

თვითონ მეფენიც მებრძოლენი, რომელთ
უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება, —
იგინიც დრტვინვენ და იტყვიან: — „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“ და აღიმვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ
თვითონ არიან!..

დაბეჭდილში ასეა:

თვითონ მეფენიც უძლეველნიც, რომელთ
უმაღლეს
არ ვინდა არის და წინაშე არვინ აღუდგეს;
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან:
„როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“, და აღიმვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ
თვითვე არიან.

ლექსს „ქეთევან“-ში მეორე ტაეპის მეორე სტრიქონი ასე განსხვავდება:

„მიმქრქალებული მთოვარე მოწყენით ნათობს მუნ ქალსა,
რომელიცა ზის ნაპირას, კელთა ჩონგურის მპყრობელი“.

დაბეჭდილია:

მიმქრქალებული მთოვარე მოწყენით ნათობს მუნ ქალსა,
მდინარის პირზედ ჰზის იგი, ხელთა ჩონგურის მპყრობელი“.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

„Петерб. Вѣд.“-ი ამბობს, რომ უწმინდესმა სინოდმა, განიხილა რა საშუალო სასწავლებელთა სალმრთო სჯულის პრაგრამა, მისწერა საერო განათლების სამინისტროს, რათა სამინისტრომ ახლავე მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება, რომ ყველა გიმნაზიისათვის საკუთარი ეკკლესია ააგონ. წინამძღვრად ამ ეკკლესიებისა იქნებიან სალმრთო სჯულის მასწავლებელნი მღვდელნი, რომელნიც მასწავლებლობასთან ერთად მოძღვრობასაც გაუწევენ გიმნაზიის მოწაფეთა. ამაზედ საერო განათლების მინისტრმა ყველა ოლქის მზრუნველს მისწერა, რომ ახლავე შეუდექით საქმეს და ყველა საშუალო სასწავლებლისათვის თითონ სასწავლებლის ხარჯით ეკკლესიები ააგეთო, ხოლო სადაც არ იყოს ღონის-ძიება ეკკლესიის ასაგებად დაუყონებლივ მომახსენეთო.

— „Новое Время“ ამბობს, რომ პეტერბურგში ახალი ამხანაგობა არსდება, რომელსაც აზრადა აქვს კავკასიაში შავი ზღვის პირად ადგილები შეიძინოს და ჩაის მცენარე გააშენოს, ამასთანავე ამხანაგობას განზრახვა აქვს რამდენიმე თავის წევრი გაგზავნოს ჩინეთში ჩაის მცენარის მოშენებისა და წარმოების ადგილობრივ შესასწავლად, რომ შემდეგ კავკასიაში გამოიყენონ, რასაც ჩინეთში ისწავლიან ჩაის მცენარის შესახებ.

— პეტერბურგის ბეითალთა საზოგადოებას გადაუწყვეტია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ყველა ქალაქში დაარსდეს რძისა და რძის მწველელ პირუტყვებზე სასანიტარო და საბეითალო ზედამხედველობა, რადგან რძის გამო ხშირად ჰლექის სიწვილითა ხდებიან ავადაო.

— კიევში ამას წინად, როგორც იქაური გაზეთები ამბობენ, სამოსამართლო თანამდებობათა კანდიდატს, 28 წლის ივანე ბენკოვსკის თავი მოუკლავს. მიზეზი თავის მოკვლისა ისა ყოფილა, რომ განსვენებული მეტისმეტად სევდიანი იყო თურმე და ჭკუიდამ შეშლას ცოტა-და უკლდა. ამას მის მიერ დატოვებული წერილიც ამტკიცებს, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი: „ჩემი სიკვდილი არავის დააბრალოთ. მე თითონვე მოვისპე სიცოცხლე, რადგანაც მეშინოდა, რომ ჭკუაზე არ შევმცდარიყავ. ჭკუა-შეშლილობასა და გადარევას სიკვდილი ვარჩიე.“

— მდინ. დონზედ მდებარე როსტოვში,—როგორც „Донская Пчела“ მოგვეთხრობს—ერთს ოჯახში რაღაც უხილავი სული გაჩნდა და ფანჯრების მინაზე აკაკუნებსო. პირველად ღამით აკაკუნებდა, ხოლო ახლა დღისით დაიწყო თავისი ცელქობა და ისე ძლიერად აკაკუნებს, რომ ფანჯრიდამ მინა ცვივა და მთელს შენობას ზანზარი გააქვს; ყოველსავე ამას ხედვენ, მაგრამ იმისი ლანდიც არა სჩანს, ვინც ამ ოინს ჩადის. რასაკვირველია, რომ ამ ამბავმა მთელს ქალაქში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა ასტეხა. ბევრს გამოძიებასა და გამოკვლევაში არიან, მაგრამ ვერაფერი ვერ გამოურკვევიათ. ამ უხილავისა და ახირებულის სტუმრის მასპინძლები შიშისაგან ავად გახდნენ და ლოგინად ჩავარდნენო.

## წვრილი ამბები

სამკურნალო ძალა თბილის წყალისა. დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ჩრდილოეთ ამერიკელ მკურნალთ სხვა-და-სხვა გამუდმებულის სნეულების წამლობა თბილის წყლით დაიწყეს, რომელსაც ავადმყოფს ასმევენ. აი, როგორ ხმარობენ ამერიკაში თბილს წყალს: 1) წყალი არც მეტის-მეტად თბილი უნდა იყოს, არც ცივი—ასე 36—38 ცელსის გრადუსამდე, ე. ი. იმდენადვე თბილი უნდა იყოს, რამდენადაც სისხლია. 2) წყალის რაოდენობის ხმარება ავადმყოფის გუნებასა და აგებულებაზეა დამოკიდებული, მაგრამ არას შემთხვევაში დღეში ორს გირვანქაზე მეტი არ უნდა მიიღონ და ეს ორი გირვანქაც ორად, ან სამად უნდა გაანაწილონ. 3) ასეთი წყალი ავადმყოფმა უნდა მიიღოს ერთი საათით ადრე სადილ-ვახშმამდე და ორი საათით ადრე დაწოლამდე. 4) არ შეიძლება წყალის ერთბაშად დალევა, არამედ გამოზოგებით, როგორც ჩაისა სვამენ, ასე $^{1}/_{4}$ თუ $^{1}/_{2}$ საათის განმავლობაში. 5) თუ რომ მრთელს ადამიანს უნდა ასეთი წყალი იხმაროს, როგორც ჯანის სისაღის დამცველი საშუალება, შეუძლია ჭამოს მისაცემად წყალს შეურიოს რამე. ამერიკელნი მკურნალნი ამტკიცებენ, რომ თბილის წყალის ხმარება დიდად გამოსადეგია ადამიანის ჯანმრთელობისათვისაო: სწმენდავს და ასუფთავებს სისხლს, სტომაქს აღონიერებს და საჭმელის მონელებას ერთი ორად აადვილებს,—ერთის სიტყვით, ეს საშუალება იმდენად მარგებელია ჯანისათვის, რომ სამკურნალო მეცნიერებაში დიდი და ბრწყინვალე მერმისი მოელისო. ცნობილი ინგლისური სამკურნალო ჟურნალი „The Lancet“ ამბობს, რომ ეს საშუალება სამკურნალო აღმოჩენათა შორის ძვირფასს განძად უნდა ჩაითვალოსო. გატფორდიდამ (ქალაქია ჩრდილოეთ ამერიკაში) მკურნალი იუნგი იუწყება, რომ იქაურს საფთიაქებში სადილობის დროს ყოველთვის ამზადებენ თბილს წყალს (36°), რომელსაც აუარებელი მუშტარი ჰყავსო.

მსხვერპლნი უცნაურის ხუმრობისა. დებრეჩინაში (ვენგრიაშია) ამას წინად ერთი სამწუხარო ამბავი მომხდარა: ორი ადამიანი პირველი აპრილის ხუმრობის მსხვერპლი გამხდარა. გლეხის ცოლმა ბერმ ბუდა-პეშტიდამ წერილი მიიღო, რომელიც დიდის მოუთმენლობით გახსნა, რადგანაც იმისი შვილი პეშტში ჯარის-კაცად მსახურებდა და წერილიც იმისაგან ეგონა. ორი სტრიქონი არც-კი წაეკითხა, რომ საბრალო დედამ სასოწარკვეთილებით შეჰყვირა, გული წაუვიდა და გულთან ერთად უბედურმა სულიც განუტევა. ამ საშინელის სურათის ნახვაზე იმისი ცამეტი წლის ქალიშვილი შიშისაგან გაჰქვავდა და იგივე დღე დაადგა, რაც იმის დედას. აღმოჩნდა, რომ წერილში დაწვრილებით იყო ნაამბობი, თუ როგორ დახვრიტეს ამ უბედურის დედაკაცის შვილი, რომელმაც ჩვენმებს მრუდე ქუსლები გაუკეთაო. წერილი ხელ-მოწერილი იყო და მთავრობას გადაეცა დამნაშავის აღმოსაჩენად.

უგანასკნელი წერილი. ამ დღეებში ჰოლჰოლანდის კუნძულზე ზღვამ ერთი ბოთლი გამოაგდო, რომელშიაც შე-

---

ხელში ძლიერ შემცირდა, ამისთვის ადგილობრივმა სასინოდო კანტორამ განიზრახა დახმარება. ამის შუამავლობით გადმოტანილი იქმნა მოსკოვიდამ ტფილისს სტამბა ხუცურის წიგნების საბეჭდავად. ამავე ხანში, სახელდობრ 1860 წელს დაარსდა „მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება კავკასიაში“, რომლის ხელშიაც იყო ხუცური წიგნების ბეჭდვის საქმე ოც-და-ხუთი წელიწადი, სახელდობრ 1860—1885 წელთა განმავლობაში, ამას გარდა თვით საქართველო-იმერეთის კანტორაც ზრუნავდა ამავე საქმისათვის.

რა ნაყოფი გამოიღო ამ ორ დაწესებულებათა შრომამ, რომლის დანახვაც შეეძლოს თითოეულს ჩვენგანს, როგორც შვილს საქართველოს ეკკლესიისას? მართალია, სტამბის გადმოტანის შემდეგ მოსკოვიდამ ჩვენის ეკკლესიისთვის საჭირო წიგნები დაიბეჭდა, მაგრამ არ-კი გავრცელებულა ხალხში, რადგან წიგნები ძვირად იყო დაფასებული. მოგვყავს სარწმუნო წყაროდამ, როგორც რიცხვი ტფილისში დაბეჭდილ წიგნთა, ეგრეთვე მათი ფასი.

1. სახარება დიდის ტანისა 1870 წ. . . . . 7—90
2. სახარება პატარა ტანისა 1870 წ. . . . . . . 6— „
3. ზატიკი დიდი. 1878 . 6—55
4. სამოციქულო 1879 წ. 4—25
5. პატარა კურთხევანი 1979 წ. . . . . . . 1—60
6. პატარა ლოცვანი 1879 წ. 1—„
7. დავითის ფსალმუნი 1880 წ. . . . . . . 1—10
8. პატარა ზატიკი 1882 წ. „—55
9. დაბადება მხედრული 1884 წ. 6 „
10. დიდი ლოცვანი 1884 წ. 2—60
11. ჟამნი 1875 წ. . . . 3—15
12. კონდაკი 1885 წ. . 2—80
13. საპარაკლისო წიგნი 1889 წ. „—75

თუ აღნიშნულ ორ დაწესებულებათა მეცადინეობით ვერ გაიაფდა თვალ-საჩინოდ ქართული სალმრთო და საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები, ნაცვლად ამისა ქართულის დაბადების მეორედ დაბეჭდვის საქმემ მიიქცია ყურადღება სასულიერო მთავრობისა. რა გარემოებამ შეუწყო ხელი ამ დიდ მნიშვნელოვან საქმის წარმატებას და ბოლოს დაგვირგვინებას?

ჩვენ ვგონებთ, რომ თაოსნობა ამ საქმეში ეკუთვნოდა მაშინდელს სამოქალაქო მთავრობას, სახელდობრ მთავარმართებელს მ. ს. ვარანცოვს, რომელიც დიდის გულს-მოდგინებით ეკიდებოდა ამისთანა საქმეებსა. მაშინდელის ექსარხოსის და ახლანდელის პეტერბურგის მიტროპოლიტის და უწმ. სინოდის თავმჯდომარის ისიდორეს თანაგრძნობით, ვარანცოვმა გაჰგზავნა პ. ე. იოსელიანი, მოყვარე საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიისა, ათონის მთაზედ, საიდანაც მოიტანა ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ ნალევაწი „დაბადება“. ამ დაბადებიდამ გადმოღებულ იქმნა სამი ახლი ანუ პირი, რომელ თაგან ახლა არის ერთი სიონის მუზეუმში, მეორე—„ქართველთა შორის წ.—კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში. რადგან ეს ათონის დაბადება იმ განზრახვით იყო მოტანილი, რომ ხელ-ახლად აპირებდა საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორა მისს დაბეჭდვას, ამისთვის გადაწერისავე შემდეგ დაინიშნა კომმისია სალმრთო და საეკკლესიო წიგნებში განვითარებულ ვემათა და იმ კომმისიას მიენდო შედარება, შესწორება და აღდგენა დაბადების ტექსტისა. ამ საქმეში იღებდენ მონაწილეობას სხვა-და სხვა დროს: ყოვლად სამღვდელო ნიგერონტი (პაპიტაშვილი), ახლანდელი ეპისკოპოსი ალექსანდრე, მღვ. ხელიძე, არქიმანდრიტი ტარასი და სხვანი. თუმცა გადასინჯვა და ბეჭდვაც ქართულის დაბადებისა მით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, რამდენადაც პირველად დაბეჭდილი „დაბადება“ ვერ იყო შეფერებული, შეხამებული თანამედროვე ხალხის მოთხოვნილებასთან, როგორც ენის მხრივ, ეგრეთვე მისის გავრცელებისა სამღვდელოებაში, სასწავლებლებში და ხალხში, მაგრამ, ჟამთა ვითარების მიხედულობით, იმისიც მოხარულნი უნდა ვიყვნეთ, რომ საუკუნე ნახევრის შემდეგ მაინც ეღირსა ჩვენი ეკკლესია და საზოგადოება ქართულს დაბადების დაბეჭდვას მეორედ ქ. ტფილისს 1884 წელს მხედრულის ასოებით.

(შემდეგი იქნება)

მდეგი შინაარსის წერილი იპოვეს: „ჩემო საყვარელო მარო! სიკვდილს თვალითა ვხედავ. გადარჩენა შეუძლებელია. ალბად ღვთის ნება იყო, რომ ჩვენ ერთმანეთს გავშორებოდით, ამიტომაც გთხოვ სასოწარკვეთილებას არ მიეცე და არც მიტირო! საიქიოს, უეჭველია, ერთმანეთს ვნახავთ. ამის მეტს ვერაფერს ვეღარა გწერ. დავიღუპეთ ჭელჭოლანდის მახლობლად 1 მარტს. შენი ერთგული საქმრო გერმან ფელკონსი“.

◆◆

# დეპეშა

## 8 აპრილი

პეტერბურგი. დღეს არის გამოცხადებული კანონი ლიბავა-რომენის რკინის გზის შესყიდვისა ხაზინის მიერ და კანონი იმის შესახებ, რომ ეკრძალებათ ებრაელ მეხანიკოსებს არაყის და ლუდის მხედლთა და საზოგადოდ ოსტატებსა და ხელოსნებს დასახლება საცხოვრებლად მოსკოვსა და მოსკოვის გუბერნიაში.

23 მუხლი სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესებიც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაასკვნან თავისი აზრი ამ ბანკის განყოფილებათა დასაგირავებელ მამულების ფასისა და მასში გასაცემის სესხის რაოდენობისა, შეცვლილ იქმნა ასე: „განყოფილება განიხილავს·რა საქმეს, დაასკვნის თავის აზრს დასაგირავებელის მამულის ფასის შესახებ და აგრეთვე მისაცემის სესხის რაოდენობის შესახებაც. შემდეგ ეს აზრი ყველა საჭირო საბუთებითურთ წარედგინება ბანკის საბჭოს“.

15 მაისიდამ დაიწყება სამხედრო-საცხენო აღწერა სხვათა შორის დაღესტანში, ტფილისისა, განჯისა, ბაქოსა, ერევნისა, ყარსისა და ქუთაისის გუბერნიაშიც.

განზრახვა აქვთ, რომ ოლქის სასამართლოებს მიანდონ თვალ-ყური ეჭიროთ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეების მოქმედებაზე იქ, სადაც შემოღებულია დებულება სოფლო და სათემო უფროსების შესახებ.

ვენა. გუშინ იმპერატორმა ინახულა პრეზიდენტი რეიხსრატისა და გამოუცხადა, რომ ცივი გაზაფხულია და საშიშია, მოუსავლობა არ მოჰყვეს ასეთს ამინდებს მონარქიისზოგიერთს ქვეყნებშიო. ოფიციალური ანგარიში მოსავლის პირის შესახებ ამტკიცებს, რომ გაზაფხულის ყინვებმა შეაფერხა ზრდა ჭირნახულისა ავსტრიასა და ვენგრიაშიო. ფასი ჭირნახულისა თან და თან მატულობს. ზოგიერთი გაზეთები სთხოვენ მთავრობას, მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებასაო.

## 10 აპრილი

პეტერბურგი. რადგან ლონდონში და ბერლინში პურს ძალიან კარგი მაზანდა ჰქონდა, აქაც კარგი ფასები იყო, მაგრამ დღეს დაიწია, რადგან ბერლინიდამ ცნობა მოვიდა, რომ ყოველ გვარის პურის ფასებმა დაიწიაო.

ოდესა. პურს აღარ მოეზიდებიან, თუმცა ფასები კარგებია; ბევრი გააქვთ პური სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების სადგურებიდამ კენიგსბერგსა და სოსნოვიცში; აქაურს ნავთ-სადგურში არავითარი მოძრაობა არ არის, სულ სამი უცხოელი ხომალდი სდგას.

### პეტერბურგის ბირჟა, 9 აპრილი.

| | მყიდველნი. მან. | კ. | გამყიდველნი. მან. | კ. | გაყიდულია. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | „ | — | „ | 6 | 73 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | — | „ | 134 | 62 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 03 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 242 | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 223 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 216½ | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

◆◆

## სამოსამართლო პალატა

სხვათა-შორის შემდეგი საქმეებია გასარჩევად დანიშნული:

### 13 აპრილს

ა) საჩივარი ბეროზ განიშვილისა რაფიელსა და ლევან ალექსიძეებზე მამულის თაობაზედ (გადატანილი ტფილ. ოლქის სასამართლოდგან).

ბ) საჩივარი ალექსანდრე ბაქრაძისა ბიჭია ბაქრაძეზედ მამულის თაობაზედ (ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადატანილი).

გ) საჩივარი ნატალია ტერ-აბრამოვისა და თაქუა საახუნისა ალექსი ჩითახოვსა და აძიან თუთრაშვილზედ ბაღის დაცლის თაობაზედ (ტფილისის ოლქის სასამართლოდგან გადატანილი).

### 16 აპრილს

ა) სააპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებისა გამო კაზიმირ კურსკისა, რომელიც უჩივის სურამის გვირაბის გასაყვანად დაარსებულს გამგეობას 10,000 მანეთს.

ბ) სააპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ თ. გ. ვახტანგ ორბელიანის ქვრივის საყვარელიძისა, იმის გამო, რომ ვლადიმერ კამლიუხინი ედავება გარდაცვალებულს გ. ორბელიანის მემკვიდრეებს ფულსა და ჯარიმას გირავნობის ქაღალდით.

გ) კერძო საჩივარი თომა საიფოვისა იმის გამო, რომ ტფილისის ოლქის სასამართლო ჩემს საქმეს შეუძლებლობის შესახებ აგვიანებსო.

დ) კერძო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ ივანე მაისურაძისა, რომელიც სჩივის საიფოვის ფულების განაწილების გამო მოვალეთა შორის.

◆◆

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობით და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.

# განცხადებანი

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

# ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები·

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кахетія | „ | 30 |
| Тифлисъ и его окрестности | „ | 40 |
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. | 1 | „ |
| ქართული ენის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა | „ | 25 |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| გრამატიკა ქორდანიასი | „ | 55 |

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

# ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ | „ | 30 |
| 2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა. | „ | 30 |
| 3) ლოტის მაგვარნი ქიები ი. თ. | „ | 5 |
| 4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღლონტიშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 5) იგივე, მშვენიერის ყდით | „ | 75 |
| 6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით | „ | 80 |
| 7) იგივე მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| 8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. | „ | 15 |
| 9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა | „ | 25 |
| 10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა | „ | 20 |
| 11) „წყალობა“ პოემა მისივე. | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა | „ | 40 |
| 12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ | „ | 30 |
| 13) რამდენიმე ლექსი ცაზელის. | „ | 15 |
| 14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| 15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. | „ | 50 |
| 16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| 17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. | „ | 60 |
| 18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. | „ | 15 |
| 19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. | 1 | „ |
| 20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣишимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა | 3 | 50 |
| 21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა | „ | 75 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისიდთარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით | „ | 80 |
| 23) იგივე უყდო | „ | 60 |
| 24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით | „ | 70 |
| 25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა | „ | 20 |
| 27) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| 29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა | „ | 20 |
| 30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| 31) ქანნა—დარკ | „ | 5 |
| 32) ბერლინის გარემოცვა | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Доз. цен. Тифлисъ, 10-го Апрѣля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.